საჯარო სამართლის იურიდიული პირის –
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება
№ 174

ქ. ქუთაისი 28 თებერვალი 2018 წ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის
დაგეგვმის მეთოდოლოგიის პრინციპების განსაზღვრის შესახებ

დამტკიცებულ იქნას სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის გაანგარიშების მეთოდოლოგიის პრინციპები თანდართული ფორმით.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი : პროფ. სულხან კუპრაშვილი

აწსუ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია

სტუდენტთა კონტინგენტი

უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრა ეყრდნობა 2011 წელს მიღებული ავტორიზაციით, აღნიშნული პერიოდისათვის არსებული ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, აწსუ-თვის განსაზღვრული სტუდენტთა კონტინგენტის 11312, მ.შ. პროფესიული პროგრამებისათვის - 812 (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #82, 07.11.2011) მონაცემებს.

ცალკეული პროგრამის მიხედვით (ბაკალავრიატი, ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, პროფესიული, ქართულ ენაში მომზადების, მასწავლებლის მომზადების 1 წლიანი) სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრა, ძირითადად, ეყრდნობა:

- ✓ მოცემულ პროგრამაზე უკანასკნელი არანაკლებ 5 წლის მონაცემების დინამიკურ ანალიზებს;
- ✓ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამიასთან მიმართებით ჩატარებულ ბაზრის კვლევებს, რომლებიც ხორციელდება გარკვეული პერიოდულობით, განსაკუთრებით ახალი პროგრამის ინიცირების ან არსებულში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის დროს;
- ✓ შრომის ბაზარზე სამუშაო ადგილებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზებს;
- ✓ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის და/ან მისი ცალკეული კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებას;
- ✓ პროგრამის უზრუნველყოფის მდგომარეობას ადამიანური და მატერიალური რესურსების მდგომარეობის, სათანადო ინფრასტრუქტურის არსებობისა და გამართულობის, ფინანსური მდგრადობის კუთხით;
- ✓ უნივერსიტეტის ინტერესის, სამომავლო პერსპექტივების, გარემოში (მ.შ. ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე) გამოკვეთილი ტენდენციებისა და უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებას ა.შ.

გამოკვეთილი ტენდენციის შესაბამისად, ყოველწლიურად:

- განისაზღვრება მისაღები კონტინგენტი თითოეული პროგამის მიხედვით კონკრეტული სასწავლო წლისათვის. კონტინგენტის ფორმირება სწავლების ზოგიერთ საფეხურზე ხასიათდება შემდეგი დამატებითი თავისებურებებით:
  - <u>მაგისტრატურაში</u>: გაითვალისწინება კონკრეტული სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი პროფილური დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის (პროფესორები და ასოცირებული პროფესორები) ოდენობა, რომლებიც გვევლინებიან სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებად (აკადემიური საბჭოს დადგენილების #1, 09/10, 04.09.2009 საფუძველზე);
  - <u>დოქტორანტურაში</u>: გაითვალისწინება პოტენციურ ხელმძღვანელთა შესაძლებლობა (აკადემიური საბჭოს #1, 05.09.2007 დადგენილების 10.5 მუხლის საფუძველზე) აიყვანონ და უხელმძღვანელონ დოქტორანტებს;
  - <u>პროფესიულ პროგრმებისათვის</u>: ჯგუფში სტუდენტთა ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით, რომელიც არ აღემატება უნივერსიტეტისათვის პროფესიულ პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის ზღვრულ ოდენობას;
  - <u>ქართულ ენაში მომზადების პროგრამებისათვის</u>: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიერ (მუხლი #52.5[1]) დადგენილია ზღვრული ოდენობები ბაკალავრიატში კონკრეტული წლისათვის მისაღები კონტინგენტის მიხედვით. კერძოდ: აზერბაიჯანულენოვანი (5%) და სომხურენოვანი (5%), აფხაზურენოვანი (1%), ოსურენოვანი (1%);

- მასწავლებლის მომზადების 1 წლიან საგანმანათლებლო პროგრამის კონტინგენტის განსაზღვრა მოხდა განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #147/ნ, 29.08.2017) 234-ით. ყოველწლიურად უნივერსიტეტი, საკუთარი აკადემიური, მატერიალური თუ ინფრასტრუქტურული რესურსებისა და პირობების გათვლიასინებით, აცხადებს მზაობას კონკრეტული ოდენობის პირის მიღებასთან დაკავშირებით. 2017-2018 სასწავლო წლისათვის, აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 100 (საბოლოოდ დაგვიმტკიცეს 75);
- ე.წ. <u>დამატებით (minor) პროგრამისათვის</u> კონტინგენტის განსაზღვრის დროს, მხედველობაში მიიღება შესაბამისი ძირითადი პროგრამის სტუდენტებით დაკომპლექტების მაჩვენებელი შესაბამის სასწავლო წელს, აკადემიური, მატერიალური თუ ინფრასტრუქტურული რესურსებისა და პირობების ერთობლიობა, რის შედეგად, დამატებითი პროგრამისათვის კონტინგენტი განისაზღვრება ძირითადი პროგრამის სტუდენტთა საერთო რაოდენობის არაუმეტეს 110 პროცენტისა.

- დგინდება მობილობით მისაღები სტუდენტების კონტინგენტი, რომელიც განისაზღვრება შესაბამის პროგრამაზე არესებული ვაკანტური მაჩვენებლებს შორის ადგილების ოდენობით. ვეკანტური ადგილების ოდენობა განისაზღვრება ფორმულით: **გ-ფ+სშ**, სადაც გ არის პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების გეგმიური მაჩვენებელი; ფ - ფაქტობრივად ჩარიცხული სტუდენტების მაჩვენებელი; სშ - სტატუს შეჩერებულ სტუდენტთა ოდენობა კონკრეტულ პროგრამაზე, დროის კონკრეტული მომენტისათვის.

სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის დროს, გაითვალისწინება აკადემიური პერსონალის ოდენობა. თუ ცალკეულ პროგრამაზე მომართვიანობა სტაბილურად მაღალია და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელიც მისაღები, საფაკულტეტო ადმინისტრაციები შეიძლება გამოვიდნენ მისაღები კონტინგენტის ოდენობისა და შესაბამისი აკადემიური საშტატო ერთეულების ზრდის ინიციატივით. აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ ჯერ მსჯელობს ფაკულტეტის საბჭო და შესაბამისი გადაწყვეტილება, დეკანის ოფიციალური წერილის სახით მიეწოდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (eflow) საშუალებით. მსგავს ინიციატივებზე პირველადი მსჯელობა ხდება რექტორის სათათბირო ორგანოს დონეზე და დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, საკითხს იხილავს და საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო.

შესაბამისად, ამა თუ იმ პროგრამაზე სტუდენტთა მიმართვიანობის მაჩვენებლის სისტემატიური შემცირების ან რამდენიმე წლის განმავლობაში არმიმართვის შემთხვევაში, აღნიშნული შეიძლება გახდეს მისაღები კონტინგენტის შეკვეცის, პროგრამაზე მიღების შეჩერების, პროგრამისათვის გამოყოფილი აკადემიური საშტატო ერთეულების შემცირებისა და პროგრამის გაუქმების საფუძველი.

სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის დროს, ასევე, გაითვალისწინება პროგრამის მატერიალური უზრუნველყოფის, სათანადო ინფრასტრუქტურის არსებობისა და გამართულობის საკითხები, რაც რეგულირდება აწსუ სენატის 2017 წლის 11 სექტემბრის #125 დადგენილებით.

აკადემიურ ჯგუფებში სტუდენტთა ოდენობები, სხვადასხვა პროგრამისა და აუდიტორიული მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით, რეგულირდება რექტორის ბრძანებით (#01-04/44, 06.07.2017).

დანართი 1. საგანმანათლებლო პროგრამის ხარჯის გაანგარიშების ფორმა

#	პროგრამის სტრუქტურული ერთეული	მოცულობა კრედიტებში	1 კრედიტის მოცულობა (სთ.)	საათობრივი დატვირთვა			ყოველწლიური ხარჯი														
				სულ პროგრამის	საკონტაქტო პროგრამის	საკონტაქტო 1 წლის	აკადემიური ხელფასი	პრაქტიკის ანაზღაურება **	ადმინ. და დამხმ. პერსონალის ხელფასი ***	სხვადასხვა ხარჯი						დაფინანსება ალტერნატიული წყაროებიდან ******	სულ ხარჯი	რისკების დაზღვევა %	სულ წლიური ხარჯი პროგრამის მიხედვით	სწავლის ქირა	სტუდენტთა ოპტიმალური ოდენობა ჯგუფში
										კომუნალური	აწსუ სტიპენდია	გადასახადები	ინფრასტრუქტურა და ლაბორ. აღჭურვილობა ****	სხვა ხარჯი *****	სულ						
1	სასწავლო კომპონენტი	220	25	5500	2200	550	28875,0	300	3000	1000	1800	1100	5000	3000	11900		44731	4473,1	49204,4	2250,0	22
2	პრაქტიკა	10	25	250	25	6,25															
3	კვლევითი კომპონენტი	10	25	250	50	12,5	656,3														
						0	0,0											0,1			
	სულ	**240**		**6000**	**2275**		**29531,3**	**300**	**3000**	**1000**	**1800**	**1100**	**5000**	**3000**	**11900**		**44731**	**4473,1**	**49204,4**	**2250,0**	**22**

* - აწსუ-ს ასოცირებული პროფესორის სახელფასო სარგოს და საშტატო განაკვეთის დატვირთვის მოცულობის მიხედვით

** - აღნიშნული ხარჯი გათვლილია პრაქტიკის ობიექტისათვის აწსუ-ს მიერ გადასახდელი თანხიდან

*** - წლის განმავლობაში დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის ხარჯი გამოთვლილია 1 აკადემიურ ჯგუფზე გაანგარიშებით.

**** - წლის განმავლობაში პროგრამის განვითარებისათვის გასაწევი ინფრასტრუქტურული ხარჯი გამოთვლილია 1 აკადემიურ ჯგუფზე გაანგარიშებით.

****- სხვა ხარჯებში შედის ყველა სხვა ტიპის ხარჯი (მაგალითად, სახარჯო მასალები და მარაგები)

*****- ინფრასტრუქტურა ალტერნატიული წყაროებიდან გულისხმობს სხვადასხვა წყაროებიდან მოზიდული ქონების, დაფინანსების, შეღავათების მთლიან მოცულობას კონკრეტული წლისათვის, რომელიც პროგრამის ხარჯს ემატება, მაგრამ არ ზემოქმედებს კონტინგენტის განსაზღვრაზე.

შენიშვნა: წითელი შრიფტით, ყვითელ ფონზე, აღნიშნულია ცვლადი პარამეტრები, რომელზეც უნდა დაზუსტდეს ყოველი პროგრამის მიხედვით.